ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 02-28/2

ქ. თბილისი "15" "02" 2011წ.

1. ხელშეკრულების საერთო პირობები

1 .1 მოცემულ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები და გამოთქმები ატარებენ იმავე მნიშვნელობებს, რაც მათ აქვთ მინიჭებული ხელშეკრულების საერთო პირობებში.
1.2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.2.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მოლაპარაკების შედეგად შერჩეულ პირს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე დართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული.
1.2.2 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის.
1.2.3 "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში – „შემსყიდველი") – ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.2.4 "მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველთან მოლაპარაკების საფუძველზე, უწევს მომსახურებას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.
1.2.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.2.6 "მიმწოდებლის" საკაბელო სატელევიზიო ქსელი – მაგისტრალური გამაძლიერებელი, მაგისტრალური ან/და სააბონენტო გაიეტამყოფები, სააბონენტო კაბელი, კონექტორები, ცალკეულ შემთხვევაში საბინაო გამაძლიერებელიც.
1.2.7 მოწყობილობა - ტექნიკური აპარატურა, სატელევიზიო კაბელები, /ინდივიდუალურის შემთხვევაში – ანტენა, კვების ბლოკი, მართვის პულტი, დეკოდერი/.
1.2.8 რეტრანსლაცია – "სუპერ ტვ-ის" მიერ მიღებული და ხელახლა გადაცემული სატელევიზიო პროგრამა(ები).

2. ხელშეკრულების მხარეები

2.1 ერთი მხრივ, **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,** წარმოდგენილი მინისტრის მოადგილის **გიორგი ჩახნაშვილის სახით** (შემდგომში - "შემსყიდველი") და მეორე მხრივ, ***"შპს `სუპერ ტვ",*** მისი გენერალური დირექტორის ***რ. მახარაძის სახით*** (შემდგომში „მიმწოდებელი"), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს" ქვეპუნქტის საფუძველზე, **აპარატის** დაფინანსების ფარგლებში, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, "მიმწოდებელი" თანახმაა, გაუწიოს "შემსყიდველს" საკაბელო სატელევიზიო მომსახურება და ამ მიზნით ჩართოს "შემსყიდველის" სატელევიზიო ქსელი, მდებარე: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა) საკუთარ საკაბელო სატელევიზიო ქსელში, **2011წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
3.2 მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების მოცულობამ ან სააბონენტო გადასახადის ოდენობამ მომავალში შეიძლება განიცადოს ცვლილებები. ამ შემთხვევაში შემსრულებელი იტოვებს უფლებას "შემსყიდველის" წინასწარი გაფრთხილების შემდეგ (შეტყობინება ამის შესახებ გაკეთებული უნდა იქნეს ერთი კვირით ადრე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით) შეცვალოს ხელშეკრულების შესაბამისი მუხლის პირობები;

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **2520,00 (ორიათასხუთასოცი) ლარს.** მათ შორის:

4.1.1 სააბონენტო მომსახურების ღირებულება ერთ წერტილზე შეადგენს 20 ლარს (12 წერტილი X 20 ლარი X 11 თვე = 2640 ლარს);
4.2 ერთი თვის სააბონენტო მომსახურების ღირებულება შეადგენს 240.0 (ორასორმოცი) ლარი.
4.3 ხელშეკრულების ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადი, რომლის გადახდა ეკისრება „მიმწოდებელს".

5. შესყიდვის ობიექტის განხორციელების პირობები

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 1 დღის განმავლობაში "მიმწოდებლი" "შემსყიდველს" ჩართავს "შემსყიდველის" კუთვნილ საკაბელო ტელევიზიის ქსელში (შემდგომში "ქსელი").
5.2 მხარეები თანხმდებიან, რომ საკაბელო ტელევიზიის ფუნქციონირებისათვის "მიმწოდებელს" მიერ "შემსყიდველის" სატელევიზიო ქსელში დამონტაჟებული ყველა მოწყობილობა წარმოადგენს "მიმწოდებლის" საკუთრებას და "შემსყიდველს" იგი გადაეცემა დროებით სარგებლობაში.
5.3 მხარეები თანხმდებიან, რომ ყველა პრეტენზია დაკავშირებული წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან "შემსყიდველის" მიერ "მიმწოდებლისათვის" წარდგენილი უნდა იქნეს წერილობით. წინააღმდეგ შემთხვევაში "მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას მის მიერ მიწოდებული მომსახურეობა განიხილოს უნაკლოდ.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე რის საფუძველზეც „მიმწოდებელი" „შემსყიდველს" წარუდგენს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურას საგადასახადო კოდექსით დადგენილი წესითა და ვადებში.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. „მიმწოდებელითან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარისწორებით ეროვნულ ვალუტაში.
7.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული 6.1 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტი და წარმოდგენილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.
7.3 „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება 6.1 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაციის მოწოდების შემდეგ 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
7.4 მიღება-ჩაბარების აქტის, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოუწერლობის შემთხვევაში, არ მოხდება თანხის გადახდა.
7.5 მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში თუ "შემსყიდველი" განახორციელებს კუთვნილი ფართის რეკონსტრუქციას, რაც გამოიწვევს საკაბელო ქსელის შესაბამისი ცვლილებას, მისი მხრიდან ანაზღაურდება "მიმწოდებლის" მიერ გაწეული ყველა ხარჯი.
7.6 "შემსყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი გადასახადის გადახდის შემთხვევაში გაცემული იქნება შესაბამისი გადახდის დამადასტურებელი ქვითარი. აღნიშნული ქვითრის გარეშე "შემსყიდველის" პრეტენზიები არ მიიღება.

8. მხარეთა უფლებები

8.1 "მიმწოდებელი" იღებს ვალდებულებას:

8.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დაცვით გაუწიოს "შემსყიდველს" საკაბელო სატელევიზიო მომსახურება და ამ მიზნით ჩართოს "შემსყიდველის" სატელევიზიო ქსელი, მდებარე: ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №52 (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციული შენობა) საკუთარ საკაბელო სატელევიზიო ქსელში;
8.1.2 "შემსყიდველის" შეტყობინების საფუძველზე შეძლებისდაგვარად მოკლე ვადებში აღმოფხვრას წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 პუნქტით გათვალისწინებული მოწყობილობების დაზიანება.

8.2 "მიმწოდებელი" იტოვებს უფლებას:

8.2.1 წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში დაიბრუნოს ყველა ის მოწყობილობა, რომელიც ხელშეკრულების პირობების შესაბამისად "შემსყიდველს" გადაეცა დროებით სარგებლობაში.

8.2.2 სამაუწყებლო ან სხვა კომპანიის, მიერ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში სატელევიზიო არხის შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის (რე)ტრანსლაციის ექსკლუზიური უფლების შეძენის შემთხვევაში შეწყვიტოს მისი კაბელით გავრცელება ან ჩაანაცვლოს იგი შემძენი კომპანიის სატელევიზიო გადაცემით. მხარეები თანხმდებიან, რომ "მიმწოდებელი" მსგავსი უფლებამოსილებით აღჭურვილია იმ შემთხვევაშიც თუ სატელევიზიო არხის შემადგენელი ცალკეული გადაცემ(ებ)ის რეტრანსლაცია დაუშვებელია კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს აკრძალვისა ან/და საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების გამო.

8.3 "შემსყიდველი" იღებს ვალდებულებას:

8.3.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების დაცვით აწარმოოს ანგარიშსწორება "მიმწოდებელთან".

8.3.2 შეატყობინოს "მიმწოდებელს" ქსელის ფუნქციონირებაში რაიმე შეფერხების, ასევე მისი მოპარვის, ან მესამე პირის მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ და შეძლებისდაგვარად შეუწყოს ხელი "მიმწოდებლის" თანამშრომლებს წარმოქმნილი ხარვეზის გამოსწორებაში.

8.3.3 აანაზღაუროს ყველა ის ხარჯები, რომელიც საკუთარი ბრალითა და უხეში გაუფრთხილებლობით მიადგა "მიმწოდებელს" კუთვნილ მოწყობილობებს.

8.3.4 არ ჩართოს "მიმწოდებლის" საკაბელო ტელევიზიის ქსელში სხვა პირები, არ გაუყოს საკაბელო სატელევიზიო სიგნალი მეზობელს ან სხვა მესამე პირს, არ განახორციელოს საკაბელო სატელევიზიო მომსახურების უზრუნველმყოფელი მოწყობილობების თვითნებული გადადგილება, გადაჭრა ან/და გაგრძელება.

8.3.5. მოითხოვოს ხარისხიანი მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში.

8.3.6 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

9. მხარეთა ვალდებულებები

9.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

9.1.1 დადგენილ ვადაში მე-5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს „შემსყიდველს" ხარისხიანად გაწეული მომსახურებით.

9.1.2. დროულად განიხილოს „შემსყიდველის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

9.2.1. უზრუნველყოს „მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა ხელშეკრულების მე-7 მუხლით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

9.2.2. დროულად განიხილოს „მიმწოდებლის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ

გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

11. ხელშეკრულების პირობების და ღირებულების გადასინჯვა

11.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა არ დაიშვება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს „შეთანხმების" სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. „შემსყიდველმა" და „მიმწოდებელმა" ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული გარემოებების ირგვლივ წარმოშობილი ყველა უთანხმოება და დავა უნდა მოაგვარონ ურთიერთშეთანხმების გზით.
12.2. მხარეებმა, სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარების შეუძლებლობის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია მიმართონ სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ 10 (ათი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

14. მხარეთა მიერ ვალდებულებების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, „შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ხელშეკრულების კონტროლი

15.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების კოორდინატორმა გიორგი გურგენიძემ.
15.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ მომსახურების ხარისხის კონტროლი.
15.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით

გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
15.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.
15.5 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებისაგან.

16. ხელშეკრულების ენა

16.1. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის, ფორმდება ქართულ ენაზე.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:
ა) სამუშაოს შესრულებით.
ბ) მხარეთა შეთანხმებით.
გ) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

19. განსაკუთრებული პირობები

19.1. ხელშეკრულება შედგენილია 5 გვერდზე, 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.
19.2. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან", ორი ეგზემპლარი – „შემსყიდველთან".

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო **მის: ქ. თბილისი, დ. უზნაძის, №52**	**შპს „სუპერ ტვ"** **მის: ქ. თბილისი, გლდანის საცხ. რაიონი,** **კარტფაბრიკის მიმდებარედ.**
სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა № 200122900; ს/კ №202051224	„ვი-თი-ბი" ბანკი ჯორჯია, საბურთალოს ფილიალი ბანკის კოდი №UGEBGE22 ანგარიშის №GE20VT7000000836093608 საინდ/კოდი №400015201
მინისტრის მოადგილე **გ. ჩახნაშვილი**	**გენერალური დირექტორი** **რ. მახარაძე**